ეროვნული
ბიბლიოთეკა


# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 776

დამატების № 136

კვირა, 16 დეკემბერი 1912 წ.




**გამოხმობა.** ქანდაკება მარმარილოსი.

# სიმღერა

(ვუძღვნი ვაჟა-ფშაველას).

ავყევი ბედის ქარიშხალს,
ჯერ ბალღი, ისევ პატარა;
ბევრი ხრიოკი ხევ-ხუვი
და კლდენი გადამატარა.
ხან ცას აუხტით, ცივ ღრუბლებს
შევეხე დაჭრილ მკერდითა,
ხან ძირს დავეშვით, ბრძოლის ხმებს
ზღვის მჩქეფ ტალღებზე ვწერდითა...
—წინ, მომესმოდა ძახილი,
მტერმა არ გნახოს მძინარე,
არვინ შეგნიშნოს სილაჩრის
ცრემლი თვალს მონადინარე,—
გინდ გარიყულსა ფონიდან
გეჯახოს შმაგი მდინარე,
წინ შეჰხვდი შეუდრეკლად
ვით ლომი მთისა მძვინვარე!..
მივდევდი ამ ხმას იდუმალს
უკან არ ვიხედებოდი,
მრავალგვარ დაბრკოლების წინ
ტინი და კაჟი ვხდებოდი.
და ბრჭყალ გალესილ ცხოვრებას
ვებრძოდი ვეურჩებოდი...

მყინვარის მაღალ ქედიდან
უკან გავხედე ნავალსა:
ბაღნარი აყვავებულა,
შესცინის აღმოსავალსა.
იქ, სად წყვდიადი ჰსუფევდა,
მზის სხივი გაბრწყინვებულა,
გრძნობა სიცოცხლეს შეჰხარის
და სული გალაღებულა...
მუშაკნი ეკალს ჰკაფავენ,
ნარს არიდებენ ყანასა
და თან ტკბილ ნანას ღიღინით
უმღერენ ამ ქვეყანასა...
გული ამივსო იმედით,
სანახაობამ მე მისმა,
აწმყო დაჩრდილა სხივებით
გონების თვალის მერმისმა...

სიცოცხლის მალო გრიგალო!
გაშალე სწრაფი ფრთებია;
შენს ქროლვას მუდამ თანა ვსდევ
და გრძნობით უერთდებია.
დე, თუნდ დაიმსხვრეს ოცნება,
ფეხ-ქვეშ ჩამიტყდეს ბორანი;
თუ მსხვერპლად გარდავიქმნები,
ლეშის სუნს მოჰყვეს ყორანი
და პირქუშ კლდეთა ნაპირად
მკერდს მიწიწკნიდეს ტიალი,
სხვათაც უხმობდეს ჩემს სისხლზედ
მის შავ ფრთათ რხევა-ყიალი!..
მაინც გაჰქროლე, არ შევდრკეთ,
გადავიაროთ მთა ბარი,—
წინ თუ წყვდიადი შეგვხვდება
უკან გვდევს სხივთა ლამპარი!..
დე, იქ ცამ იგრძნოს, აქ მიწამ,
სწრაფვა ცოცხალი სულისა,
გრძნობის წარბ შეუხრელობა,
სიმტკიცე სიყვარულისა!..

**ხ. ფაშალიშვილი.**

# ვარდი და გომბეშო

**ზღაპარი გ. გარშინისა.**

იყო და არა იყორა იყო ერთი გომბეშო და ვარდი.

ვარდი სოფლის სახლის წინ ერთ ნახევრად მომრგვალებულ ყვავილნარში იდგა. ათასნაირი ბალახ-ბულახი ბლომად მოსდებოდა ბაღნარს, ბილიკებიც ამავე ბალახით იყო დაფენილი, ეტყობოდა აღარავინა წმენდდა და ქვიშას აღარავინ აყრიდა. წვრილი, ოთხკუთხ სარებიანი ხის მესერი, ოდესღაც მწვანე წამლით შეღებილი, ეხლა კი გახუნებულიყო, დამპალიყო და აქეთ-იქით გადაწვენილიყო. სარები ზოგი სოფლის ბავშვებს წაეღ-წამოეღოთ სალდათობანას თამაშობისათვის, ზოგიც ძაღლების მოსაგერებლად მოეხმარათ გლეხებს, რომელნიც რამე საჭიროებისათვის მოდიოდნენ ამ სახლში.



**ვლ. მესხიშვილი** და მისი მოწაფე **ი. ზარდალიშვილი.**
(მესხიშვილის მომავალ იუბილეს გამო).

ეტყობოდა, კარმიდამო ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული.

მიუხედავად ასეთი უპატრონობისა ყვავილნარს ბევრი არაფერი დაჰკლებოდა. აქა-იქ დარჩენილ სარებს შეჰხვეოდა სვია, თეთრ ყვავილიანი ხვართქლა და ბარდა, რომელიც მწვანე ბუჩქ-ბუჩქად ჩამოწოლილიყო და ლილისფერი ყვავილი კუნწულებად ჩამოეკიდა. ყვავილნარის მსუქან და ნოტიო ნიადაგზე (ირგვლივ კარგად ჩამოჩრდილული ბაღი იყო) ნარ-ეკალა მაღლა-მაღლა წასულიყო, ისე რომ ხეები გეგონებოდათ. ნარ-ეკალას თავს მოჰქცეოდა ყვითელი სახალი ბალახი და თავისი ყვავილიანი ქოჩოჩი მაღლა ეჭირა. ერთ კუთხეში ჭინჭარი გამეფებულიყო. მართალია არ ისუსხებოდა, მაგრამ შორიდანაც შეგეძლოთ მისი მუქი ფერით დამტკბარიყავი, მეტადრე როცა მას ვარდის ნაზი, მშვენიერი, მიმქრალი ფერი მიადგებოდა ხოლმე.

ვარდი ერთს მშვენიერს მაისის დილას გაიშალა: მისმა კოკორმა რომ მზეს გული უჩვენა, დილის ცვარმა რამდენიმე წმინდა, ბჭყვრიალა ნამი დააგდო ზედ, გეგონებოდათ ვარდი სტირისო. მართლაც ისეთი მშვენიერება რამ იყო ირგვლივ, ისეთი მომხიბვლელი ამ საუცხოვო დილას, როდესაც ვარდმა პირველად დაინახა ლურჯი ცა, დილის სიომ ნაზად ააფუჩუნა მისი ფურცლები დ ბრწყინვალე მზემ გულში ჩახედა, ისეთი სიწყნარე იყო ამ დროს ყვავილნარში, რომ ვარდს შესძლებოდა, მართლაც იტირებდა, მაგრამ არა დარდ-ვარამისაგან, არამედ სიხარულისაგან. ვარდი უსიტყვო იყო. მას შეეძლო მხოლოდ თავი ძირს დაეხარა და ირგვლივ საუცხოვო, ნაზი სუნი გაეშვა; ეს სუნი იყო მისი სიტყვაც, ცრემლიც, ლოცვაც. ვარდის ბუჩქის ძირას კი, ნოტიო მიწაზე გართხულიყო, თითქოს მიწას დაჰკვროდა, უზარმაზარი, ბებერი და საკმაოდ მსუქანი გომბეშო. ღამე იგი ჭიებზე დ ქინქლებზე ნადირობდა, ეხლა კი დასასვენებლად აქ ამოერჩია უფრო ჩრდილიანი და ნოტიო ადგილი და განისვენებდა. თვალები დაეხუჭა, ღიპი და დაპრანჭული, საძაგელი ლურჯი გვერდები მძიმედ ადიოდ-დადიოდნენ; ოდნავ სუნთქავდა, თან ერთი ფეხი გვერდზე გაეშვირა, მის ახლოს მიწევა ეზარებოდა. გომბეშოს არც დილისა უხაროდა, არც მზის, არც კარგი ამინდისა. გამაძღარი იყო და მოსვენებას მისცემოდა. როცა სიო ერთი წუთით შეჩერდებოდა, ვარდის სუნი იქვე დატრიალდებოდა ხოლმე. გომბეშოსაც მისდიოდა იგი სუნი და ვერაფრად ესიამოვნებოდა. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ დიდხანს ეზარებოდა და თავი მაღლა ვერ აეღო, რომ გაეგო, საიდგან მოდიოდა ეს ცუდი სუნი.

ყვავილნარში კარგა ხანია აღარავინ დაიარებოდა. ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე, სწორედ იმ დროს, როცა გომბეშომ სახლის საძირკვლის ერთ ქვის ქვეშ კარგი ხვრელი იპოვა და აპირობდა იქ საზამთროდ დაბინავებას, ყვავილნარში უკანასკნელად შემოვიდა პატარა ბიჭი, რომელიც მთელს ზაფხულს იქ ფანჯრის ახლოს ატარებდა. ოთახში ფანჯარასთან მისი მოზრდილი და იჯდა და არ ვიცი წიგნსა კითხულობდა თუ რაღასაც ჰკერავდა. ხანდისხან გადმოჰხედავდა ხოლმე ბაღში პატარა ძმას. ბავშვი ესე შვიდი წლისა იქნებოდა. დიდ თვალთა. პატარა, გამხმარ ტანზე დიდრონი თავი ება. ბავშვს ეს ყვავილნარი ძალიან უყვარდა. იგი მას ეკუთვნოდა, რადგან ამ მიგდებულ ალაგას თითქმის არავინ დაიარებოდა სხვა. ბილიკის პირას მუდამ ერთი ხის სკამი იდგა, რადგან ანჯამების დახურვის დროს ამ სკამზედ დგებოდნენ. ბავშვი შევიდოდა ყვავილნარში, დაჯდებოდა ამ სკამზე მზის გულას და წიგნის კითხვას იწყებდა.

— ვასიკო, თუ გინდა ბურთს გადმოგიგდებ-გადმოსძახა ფანჯრიდან დამ, იქნება თამაშობა გინდა?!.

— არა, მაშო, ისევა სჯობია წიგნს წავიკითხავ, მიუგო ბავშვმა. პატარა წიგნს დიდხანს კითხულობდა ხოლმე. როცა კი მოეწყინებოდა რობინზონებზე, გარეულ ქვეყნებზე, ზღვის ყაჩაღებზე კითხვა, გადასდებდა გვერდზე გადაშლილ წიგნს და ყვავილნარისკენ გაექანებოდა. აქ იგი თვითვეულ ბუჩქს, თვითვეულ ყვავილსაც კი იცნობდა. ბავშვი მიუჯდებოდა თავისზე ბევრად მოზრდილს მსხვილ, ხორკლიან, მოთეთრო ფოთლებიან ლოჰას და დიდხანს ადევნებდა თვალს ჭიანჭველებს, რომელნიც სწრაფად არბოდნენ ზევით თავიანთ ძროხებთანბალახის ჩრჩილთან — და ზრდილობიანად სწოვდნენ მათ ზურგის საბურველებიდან ტკბილს წვენს. აქ ნეხვის ჭიას დაეგორგოლავებინა გუნდა და ფუსფუსით ერთგულად სადღაც მიაგორებდა, იქ ობობას გაება მაცდური ქსელი ჰაერში და ბუზებს უდარაჯებდა, იქ კიდევ მზის გულას წამოგდებულიყო ბჭყვრიალა ხორკლებიანი, ჯოჯო და სიცხით პირი დაეღო. ბავშვი ყველას თვალს ადევნებდა...

ერთხელ, ესე საღამოს, ის ზღარბს წააწყდა: სიხარულისაგან კინაღამ ცას დაეწია. ის იყო სიხარულით უნდა დაეყვირა ხელი-ხელს შემოეკრა, მაგრამ მალე გაახსენდა, რომ ამით შეეძლო პატარა, ეკლიანი ნადირი გაეფრთხო, სული განაბა, თვალები დააჭყიტა და ალტაცებით შესცქეროდა, როდესაც ის ფრუტუნით ვარდის ძირს სუნავდა დინგით და ჭია-ღუას ეძებდა, თან დათვივით მსხვილი თათებით რაღასაც ცოდვილობდა.

— ვასიკო, გენაცვა, წამოდი სახლში," ხომ ხედავ აგრილდა, ხმა მაღლა გადმოსძახა დამ.

გაიგონა თუ არა ადამიანის ხმა ზღარბმა, უმალ თავზე და ფეხებზე წამოიკეცა თავისი წამოხასხამი და ხელად ბურთივით დამრგვალდა. ბავშვმა ეკლებზე ხელი დაადო ზღარბი უფრო მოიკუნტა და პატარა ორთქლის მანქანასავით აქაქანდა. ვასიკო შემდეგში ზღარბს ნელ-ნელა დაუმეგობრდა. ის ისეთი სუსტი და მშვიდი იყო, რომ პატარა ცხოველები თითქოს ხვდებოდნენ ამას და მალე ეჩვეოდნენ. ერთხელ პატარა ლამბაქით ბავშვმა თავის მეგობარს ყვავილნარში რძე ჩამოუტანა. უნდა გენახათ მისი სიხარული, როდესაც ზღარბმა რძეს სვლეპა დაუწყო.

გაზაფხულზე ვასიკო თავის საყვარელ ბაღჩაში აღარ გამოსულა. დაავადებული ლოგინში იწვა. გვერდით უჯდა და და წიგნს უკითხავდა, რადგან ის ისე იყო მიქნავებული, რომ ბალიშიდან თავი ვერ წამოეწია, წიგნი ხელში ვერ დაეკავებინა. ეტყობოდა, ის ამ ქვეყნისა აღარ იყო.

— მაშო! უცებ წაიჩურჩულა პატარამ.

— რა იყო, გენაცვალე? შეეკითხა და.

— ბაღში ეხლა კარგია? ვარდი გაიშალა?

— კარგია, გენაცვა, კარგი. ვარდიც გაიშალა. აი, ორშაბათს ორივენი იქ ერთად გავისეირნებთ, ექიმმა იქ გასვლის ნება მოგვცა, უთხრა დამ, დაიხარა და მიმქრალ ლოყაზე აკოცა, თან თვალიდან ცრემლი ჩუმად მოიწმინდა.

ბავშვმა პასუხი არ გასცა, მხოლოდ ღრმად ამოიოხრა. დამ ისევ წიგნის კითხვა დაიწყო.

— მაშო, კმარა წიგნის კითხვა, დავიღალე, ახლა დავიძინებ.

დამ ბალიში და პატარა თეთრი საბანი გაუსწორა. ბავშვი ნელა გადაბრუნდა კედლისკენ და დადუმდა. ბაღჩის მხრიდან მზე ფანჯარაში შემოიყურებოდა, ბრწყინვალე სხივები მიეყენებინა პატარა ავადმყოფისათვის და მოკლედ შეკვეცილ თმას და გაწვრილებულს კისერზე ოქროს ფერსა სცემდა.

ვარდი კი თანდათან სრულდებოდა, კეკლუცობდა. მან ამისა არაფერი იცოდა. მეორე დღეს უნდა გაშლილიყო, მესამე დღეს კი უკვე ჭკნობა ეწყო, ფურცლები უნდა გასცვივნოდა. ასეთია ვარდის მთელი სიცოცხლე! მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც მან საკმაო შიში და ვარამი გამოიარა.

მას თვალი მოჰკრა გომბეშომ.

როდესაც გომბეშომ ვარდი პირველად დაინახა, რაღაც უცნაურად შეუტოკდა თვისი გომბეშური გული. თვალი ვერ მოეშორებინა ვარდის ნაზ ფურცლებისთვის და გაშტერებით შეჰყურებდა. მას ძალიან მოეწონა ვარდი და მოეწადინა ამ სურნელოვან და მშვენიერ ყვავილის ახლოს ყოფნა. რომ მისდამი თვისი ნაზი გრძნობანი გამოეთქვა, გომბეშომ ვერაფერი მოახერხა ამ სიტყვების გარდა:

— დამაცა, მალე შეგსანსლავ.

ვარდი შეხტა. ოჰ, რისთვის იყო ის ყლორტზე მიბმული? მის გარშემო მოჭიკჭიკე პაწაწინა ფრინველები თავისუფლად დახტოდნენ ტოტიდან ტოტზე, ხან სადღაც შორს მიფრინავდნენ, მაგრამ სად—ვარდმა არ იცოდა. პეპლებიც თავისუფლად დაფრიალობდნენ. ოჰ, როგორა შურდა ვარდს ეს! ესეც რომ თავისუფალი ყოფილიყო, ხომ გაფრინდებოდა შორს, შორს,

# სამშვიდობო მოლაპარაკება

## ბალკანეთის ომის გამო.





სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარე სერ ნიკელსონი. ✦ სერბიის წარმომადგენელი ნოვაკოვიჩი.



სამშვიდობო კონფერენციის კრება: ფეხზე დგანან: ნოვაკოვიჩი (სერბია), გენ. დანგლისი (საბერძნეთი), ოსმან ნაზიმ-ფაშა (ოსმალეთი), სკულიდისი (საბერძნეთი), ექ. დანევი (ბულგარეთი), ნიკოლიჩი (სერბია), გენ. პოპოვიჩი (ჩერნოგორია). გენ. პაპრიკოვი (ბულგარეთი), მაჯაროვი (ბულგარეთი), რეშიდ-ფაშა (ოსმალეთი), ვენიზელოსი (საბერძნეთი), მიუშკოვიჩი—ჩერნოგორია.

სადაც ის ბოროტი თვალი, რომელიც მას ეხლა ისე მისჩერე-ბოდა, ვერ მისწვდებოდა. ვარდმა არ იცოდა, რომ გომბეშო არც პეპელებს აყრიდა ხეირს.

— შეგსანსლავ! გაიმეორა გომბეშომ, თან სცდილობდა რაც შეიძლება უფრო ნაზად გამოეთქვა ეს სიტყვა, მაგრამ უფრო საზარლად გამოსდიოდა. გომბეშო ვარდისაკენ გადა-ცოცდა.

— ჰა, შეგსანსლავ! იმეორებდა ის და თან ვარდს თვალს არ აშორებდა.

საბრალო ვარდმა თვალი მოჰკრა, გომბეშო როგორ ეჭი-დებოდა თავისი ლიპი თათებით ბუჩქის ყლორტს. მაგრამ გომბეშოსათვის არც თუ აგრე ადვილი იყო აცოცება: მას თავის გაბერილი მუცლით მხოლოდ სწორე ალაგზე შეეძლო თავისუფლად ცოცვა.

— ღმერთო! ევედრებოდა ვარდი, სხვა სიკვდილი მაინც მაღირსე!

გომბეშო კი თანდათან ზე-ვით მიცოცავდა. მაგრამ იმ ალაგას, სადაც ახალი ყლორტი იწყებოდა, მისი მოგზაურობა შეფერხდა. ყლორტის მომწვანო ქერქი წვეტიანი და მაგარი ეკლებით იყო დაფარული. გომ-ბეშოს მალე თათები და მუცე-ლი დაუსისხლიანდა და მიწაზე ტყაპანი მოსძერა. მან ბორო-ტი თვალით შეხედა მაღლა ყვავილს.

— გითხარი შეგსანსლავ მეთ-ქი და შეგსანსლავ! შესძახა გომბეშომ.

წამოღამდა. ვახშმის დრო მოტანებული იყო და ჩვენი გომბეშო წაცოცდა გაუფრ-თხილებელ მწერებზე სანადი-როდ. თუმცა გაბოროტებული იყო, მაგრამ მუცელიც არ ავი-წყდებოდა. ქრილობა ეგრე რი-გად საშიში არ იყო, ამიტომ გომბეშომ გადასწყვიტა შეს-ვენა და მერე ისევ ეცადნა ის საძაგელი ყვავილი მოესპო.

კარგა ხანს იყო მოსვენებაში გომბეშო. დადგა დღლა, გან-ვლო შუადღემაც. ვარდს თა-ვისი მტერი კიდეც დაავიწყდა და მთლად გადიშალა გული. ყვავილნარში ყველაზე ლამაზი ის იყო, მაგრამ მოსაალერსებლად არავინ მოდიოდა. მისი პა-ტარა მეგობარი სარეცელზე გაუნძრევლად იდო, და კი გვერ-დით უჯდა და ფანჯარაში ერთხელაც არ გამოუხედნია. მხო-ლოდ ფრინველები და პეპლები დაფუსფუსებდნენ მის ახლოს და ფუტკრები ბზუილით ჯდებოდენ მის გვირგვინში და ყვა-ვილის მტერით გაგუნგლული უკან მიფრინავდნენ. მოფრინდა ბულბულიც, შეჯდა ვარდის ბუჩქზე და დასძახა თავისებურად —რა შორი-შორს იყვნენ ერთმანეთისაგან მისი გალობა და გომბეშოს ხიხინი! ვარდი ყურს უგდებდა მის გალობას, სტკბე-ბოდა მით, ბედნიერი იყო. ჰფიქრობდა, რომ ბულბული მას უმღერდა და ეს იქნება ასეც იყო.

ვარდმა ვერ შეამჩნია გომბეშო როგორ მიცოცავდა მის-კენ ყლორტზე ხელმეორედ. ის უკვე აღარა ზოგავდა არც თათებს, არც მუცელს, სისხლი თქრიალით გასდიოდა, მაგრამ მაინც მარჯვედ მიცოცავდა ზევით. უცებ ბულბულის სტვე-ნასთან ერთად ვარდს მოესმა ნაცნობი ხრინწიანი ხმა:

— გითხარი შეგსანსლავ მეთქი და შეგსანსლავ კიდეც!

გომბეშო გაშტერებით მისჩერებოდა ვარდს მეზობელ ტოტიდან. ცოტა ღა აკლდა, რომ ყვავილისათვის პირი ეტა-ცნა. ვარდმა დაინახა, რომ იღუპებოდა...

ვარდის პატარა მეგობარი უკვე დიდი ხანია გაუნძრევ-ლად იდო ლოგინში. დას, რომელიც თავით უჯდა სავარძელ-ში, ეგონა, რომ ბავშვს სძინავსო. მუხლებზე ედო გადაშლი-ლი წიგნი, მაგრამ შიგ კი არ იცქირებოდა. საბრალოს რამდე-ნიმე ღამე თვალი არ მოეხუჭა, ძმის ლოგინთან დატრიალობ-და, ეხლა ძილი მოერია და ოდნავ ჩასთვლიმა.

— მაშო! წაილუღლუღა ბავშვმა.

და შეხტა. მას დაესიზმრა, ვითომ ფანჯარასთან ზის, ძმა კი ყვავილნარში თამაშობს, როგორც ეს შარშან იყო, და მას უძახის.

თვალები გაახჭიტა და ძმა რომ ლოგინში დაინახა, მწა-რედ ამოიოხრა.

— რა იყო, გენაცვალე?

— მაშო, შენ ხომ მითხარი, ვარდმა გაიფოთქაო! არ შეიძლება. ერთი მომიტანო?...

— რატომ, გენაცვალე, რატომ.. ეხლავე, მიუგო დამ; მივიდა ფანჯარასთან და ყვავილნარში გადაიხედა. იქ ერთი ძირი ვარდი იდგა, რომელთაც მშვენივრად გადაშლილიყო

— სწორედ შენთვის გაშ-ლილა ის ვარდი, მერე რა მშვე-ნიერია! გინდა ჭიქაში ჩავდო და სტოლზე დაგიდგა? ჰა?!-.

— ჰო, დადგი... მინდა ვუც-ქირო... მიუგო ბავშვმა.

— ახალგაზრდა ქალმა ხელ-ში მაკრატელი აიღო და ბაღში გავიდა. კარგა ხანია ოთახიდან აღარ გამოსულიყო და სუფთა ჰაერმა ოდნავ თავს-ბრუ დაასხა—ის სწორედ იმ დროს მივიდა ბუჩქთან, როდე-საც გომბეშო ის იყო უნდა სცემოდა ვარდს.

— უჰ, რა საძაგელია! შეჰყვი-რა ქალმა, სწვდა ტოტს, რო-მელზედაც გომბეშო იჯდა და ძალზე შეარხია. გომბეშოს მი-წაზე ტყაპანი მოსძერა. გაცე-ცხლებულ გომბეშოს უნდოდა სცემოდა ქალს, მაგრამ ერთ გოჯზედაც ძლივს შეხტა. ქალმა მას ფეხსაცმელის წვერი ამო-ჰკრა და შორს გასტყორცნა. გომბეშომ ველარაფერი გაბე-და, მხოლოდ შორიდან დაინა-ხა, რომ ქალმა ყვავილი ფრთხი-ლად მოსჭრა და ოთახში წაი-ღო. ბავშვს, დის ხელში რომ ვარდი დაინახა, დიდი ხნის ავა-დმყოფობის შემდეგ პირველად გაეღიმა ოდნავ და ძლივს გაუშვირა ხელი:

— მომეცი აქ, წაიჩურჩულა მან, ერთი ვუსუნო...

დამ ხელში მისცა ვარდი და თვითონვე ხელით მიუტანა ცხვირთან. ბავშვი დიდ ხანს ჰსუნავდა ნაზ ყვავილს, მერმე გაიღიმა და წაილუღლუღა:

— ოჰ, რა კარგია...

მალე სახიდან ღიმი ისევ მოსწყდა და სამუდამოდ დადუმდა. მართალია ვარდი მოსჭრეს უდროოდ, მაგრამ მაინც გრძნობ-და იგი, რომ ტყუილად არ მოსჭრეს. ის ჩასდეს ჭიქაში და პა-ტარა კუბოს ახლოს დადგეს. თუმცა აქ მთელი თაიგულები იყო სხვა ყვავილებისა, მაგრამ მათ აგრე რიგად ყურადღებას არავინ აქცევდა. ვარდი კი—ახალგაზრდა ქალმა, როცა მას მაგიდაზე სდგავდა, მიიტანა ტუჩებთან და აკოცა. მას თვა-ლიდან ცრემლი ჩამოვარდა და ვარდს დაეცა. ეს ყველაზე ბედნიერი წუთი იყო ვარდის ცხოვრებაში. როცა ვარდი დას-ჭკნა, გახმეს და ერთ ძველ სქელ წიგნში ჩასდეს და რამდე-ნიმე წლის შემდეგ ის ყვავილი მე მაჩუქეს. აი სწორედ ამი-ტომ ვიცი მთელი ეს ისტორია.

**სან-განიძე.**



განსვენებულ მსოფლიო პატრიარქის იოაკიმე მე-III ცხედარი, სავარძელში ასვენია და მორწმუნენი ეთხოვებიან.